ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP

# წვდომა საექსპორტო ბაზრებზე

# INCLUSIVE ACCESS TO MARKETS



# პროგრამა ‘მცირე და საშუალო საწარმოების (SME) გაციფრულების მხარდაჭერა - Supporting Digitalisation of Georgian Small and Medium Enterprises (SME)



**მიზანი: საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების (SME)  გაციფრულების დონის შეფასება და ციფრული განვითარების  ხელშეწყობა ევროკავშირისა და სხვა ევროპულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი საწარმოები მიიღებენ:

- საწარმოს გაციფრულების დონის დეტალურ შეფასებას
- საწარმოს საჭიროებაზე მორგებულ ინდივიდუალურ გაციფრულების გეგმას
- რეკომენდაციებს და პრაქტიკულ რჩევებს ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის შესახებ

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა: 2026 წლის 31 ივლისი 18:00 საათი (GMT+4).

პროგრამა ხორციელდება ევროკავშრის დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „წვდომა საექსპორტო ბაზრებზე“ მიერ





# პროგრამის ძირითადი მახასიათებლები:



საწარმოს გაციფრულების დონის შეფასება განხორციელდება წინასწარ შერჩეული მოდელის მიხედვით 6 ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით:

| საწარმოს გაციფრულების დონის შეფასება (Digital Maturity Assessment) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ციფრული ბიზნეს სტრატეგია (Digital Business Strategy) | ციფრული მზაობა (Digital Readiness) | ციფრული უნარების განვითარება (Digital Skills Improvement) | მონაცემთა მართვა და კიბერუსაფრთხოება (Data Management & Cybersecurity) | ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტი (Automation & Intelligence) | მწვანე გაციფრულება (Green Digitalisation) |





# საწარმოს გაციფრულების დონის შეფასება - 6 მიმართულება:



1. **ციფრული ბიზნეს სტრატეგია (Digital Business Strategy)** - აქვს თუ არა საწარმოს შემუშავებული გაციფრულების სტრატეგია/სამოქმედო გეგმა, ახდენს თუ არა გაციფრულების მიმართულებით ფინანსური რესურსის მობილიზებას და ა.შ.;

2. **ციფრული „მზაობა“ (Digital Readiness)** - საწარმოს ონლაინ ვებ-გვერდის არსებობა (მათ შორის, ინგლისურენოვანი), ელექტრონული კომერციისა (e-commerce) და სხვა ციფრული გაყიდვების არხების გამოყენების სიხშირე, ბიზნესის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის (ERP, CRM, საბუღალტრო პროგრამები) არსებობს, ციფრული ინვოისის გამოყენება და ა.შ.;

3. **ციფრული უნარების განვითარება (Digital Skills Improvement)** - მენეჯმენტის/თანამშრომლების ციფრული უნარებისა და კომპეტენციების დონე, თანამშრომლების ჩართულობა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებში და ა.შ.;

4. **მონაცემთა მართვა და კიბერუსაფრთხოება (Data Management & Cybersecurity)** - მონაცემთა შენახვისა და მართვის პრაქტიკა, მონაცემთა ანალიტიკის (ე.წ. Data Analytics) გამოყენება ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კიბერ უსაფრთხოების შესახებ არსებული ცნობიერება, ბიზნესის/მომხმარებელთა მონაცემების დაცვის პრაქტიკა და ა.შ.;

5. **ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტი (Automation & Intelligence)** - სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება განმეორებადი ოპერაციებისთვის და ა.შ.;

6. **მწვანე გაციფრულება (Green Digitalisation)** - ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით რესურსების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, მდგრადი წარმოებისა და მოხმარების პრაქტიკის დანერგვა, რომლებიც შეესაბამება გარემოსდაცვით რეგულაციებს და ა.შ.





# ბენეფიციარების შერჩევა



პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რამდენჯერმე გამოცხადდება ღია კონკურსი და თითოეული კონკურსის ფარგლებში, შეირჩევა 5-15 პოტენციური ბენეფიციარი/SME, რომლებიც მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ სრულ მომსახურებას.

პროგრამაში მონაწილეობისთვის საწარმოები გაივლიან ორეტაპიან შერჩევის პროცესს:

**ეტაპი 1 - ადმინისტრაციული შემოწმება**: განაცხადის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობისა და განცხადებაში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენა

**ეტაპი 2 - ტექნიკური შემოწმება:**

- განმცხადებლის ციფრული განვითარების პოტენციალის შეფასება
- წარდგენილი განაცხადის ქულებით შეფასება და ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება





# პროგრამის ფარგლებში დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სახეები



კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წარმოების სექტორის ბიზნეს სუბიექტებს, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას „საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" მე-2 რედაქციის C სექციის შესაბამისად, გარდა შემდეგისა:

- განყოფილება12: თამბაქოს ნაწარმის წარმოება;
- განყოფილება 33: მანქანების და მოწყობილობების რემონტი და დაყენება;
- აქტივობები, რომლებიც უკავშირდება სამხედრო, ბირთვულ და სახიფათო ნივთიერებების წარმოებასა და მათთან დაკავშრებულ საქმიანობას.

**შენიშვნა:** პროგრამა არ ვრცელდება სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის პირველად წარმოებაზე, როგორიცაა, მემცენარეობა, მეცხოველეობა, ნადირობა, მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება, თევზჭერა, აკვაკულტურა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა.



[1] საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" მე-2 რედაქცია
https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf



# საკვალიფიკაციო მოთხოვნები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME):



ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?

- განმცხადებელი წარმოადგენს პროგრამაში განაცხადის წარდგენამდე მინიმუმ 1 წლით ადრე საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს და საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს პროდუქციას.
- სულ მცირე 50% მესაკუთრეე(ებ)ი/წილის მმართველ(ებ)ი არიან/არის საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი ფიზიკური პირ(ებ)ი ან/და რეზიდენტი იურიდიული პირ(ებ)ი.
- განმცხადებლის ბოლო 1 წლის (2025) წლიური შემოსავალი არ არის 30 000 ლარზე ნაკლები და ამასთან, არ აღემატება 60 მილიონ ლარს.
- არ წარმოადგენს სახელმწიფოსა ან/და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ პირს.
- არ ირიცხება მევალეთა რეესტრში. ასევე, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

შენიშვნა: პროგრამა არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, მათ შორის არ ვრცელდება ინდივიდუალურ მეწარმეებზე






ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
THANK YOU